განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

საბაკალავრო პროგრამა: ბიოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
29-30 მარტი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი
08/06/2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Biology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0511 ბიოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული №98, 17 ოქტომბერი 2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ჩერქეზია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი,	თეა მჭედლური

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ღაჭავა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ციცქიშვილი ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ აბულაძე ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

2011 წელს აკრედიტაცია მოიპოვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ "საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ფიზიკა, ბიოლოგია, ეკოლოგია)", რომელიც ხორციელდებოდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე. პროგრამა მოიცავდა სამ მიმართულებას (ფიზიკა, ბიოლოგია, ეკოლოგია), ითვალისწინებდა ერთ-ერთი მიმართულებით შესაბამისი საბაკალავრო ხარისხის მინიჭებას და ხორციელდებოდა როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი პროგრამის ფორმატში. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მოხდა პროგრამის მოდიფიცირება. კერძოდ, მასში შემავალი სამი მიმართულება ცალკე გამოიყო და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ საბაკალავრო პროგრამებად. ბიოლოგიის მიმართულების პროგრამა ჩამოყალიბდა როგორც საბაკალავრო პროგრამა "ბიოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა", რომელშიც უცვლელი დარჩა მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ასევე პროგრამის განხორციელების ძირითადი და დამატებითი სპეციალობის ფორმატიც.

რეაკრედიტაციაზე წარდგენილ საბაკალავრო პროგრამაში "ბიოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" განახლდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, შესაბამისად განახლდა პროგრამის სტრუქტურა და შემუშავდა პროგრამის რუკა, რომელიც მკაფიოს ხდის პროგრამის საერთო დიზაინს სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით; პროგრამის სწავლის შედეგებთან სინქრონიზაციაში განახლდა პროგრამაში შემავალი კურსების მიზნები და სწავლის შედეგები; გადაიხედა სასწავლო კურსებში გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა; დარგში არსებული თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით განახლდა სასწავლო რესურსები.

დაიხვეწა სწავლა-სწავლების პროცესის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. პროგრამის და მისი ცალკეული კომპონენტების შეფასების და გაუმჯობესების მიზნით რეგულარულ საფუძველზე ტარდება პროგრამაში ჩართული სტუდენტების, აგრეთვე კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ფოკუს ჯგუფის კვლევა. მაგალითად, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვების შედეგების გათვალისწინებით გაიზარდა პრაქტიკული (ლაბორატორიული და საველე) მეცადინეობების წილი. გაუმჯობესდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. კერძოდ, მოხდა საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისთვის სასწავლო ლაბორატორიების ახალ

სივრცეში მოწყობა; გაიზარდა ხელმისაწვდომი ელექტრონული სამეცნიერო ბაზებისა და წიგნად ფონდში შემავალი ლიტერატურის რაოდენობა; დაინერგა სწავლებისა და შეფასების ელექტრონული ინსტრუმენტები Moodle (Elearning) და Turnitin; განახლდა და გაიზარდა კომპიუტერული ლაბორატორიების რიცხვი; გაუმჯობესდა და უფრო მრავალფუნქციური გახდა არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 26 მარტს ცენტრის ორგანიზებით zoom პლატფორმის საშუალებით შედგა საექსპერტო ჯგუფის წევრების შეხვედრა, რომელზედაც მოხდა დოკუმენტაციის წინასწარი განხილვის შედეგად ჩამოყალიბებული შთაბეჭდილებების გაზიარება და საინსტიტუციო ვიზიტისთვის სავარაუდო კითხვების შემუშავება.
2021 წლის 29-30 მარტს ასევე zoom პლატფორმის საშუალებით განხორციელდა online აკრედიტაციის ვიზიტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამი (მათ შორის ბიოლოგიის საბაკალავრო) საგანმანათლბლო პროგრამის განხილვის მიზნით. ჩატარდა შემდეგი შეხვედრები:

- შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- შეხვედრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- შეხვედრა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- შეხვედრა სტუდენტებთან;
- შეხვედრა კურსდამთავრებულთან;
- შეხვედრა დამსაქმებლებთან;
- შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

ვიზიტის ფარგლებში ასევე მოხდა პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სასწავლო აუდიტორიები, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა) ადგილზე დათვალიერება.
მეორე სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გამართა ძირითადი მიგნებების წინასწარი პრეზენტაცია.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში არსებულ აკრედიტაციის სტანდარტებთან. კერძოდ, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეექვსე დონით გათვალისწინებული ზოგადი და დისციპლინისთვის სპეციფიკური სასწავლო შედეგების სტანდარტებს; პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს გაცხადებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; არსებობს პროგრამის განხორციელებისათვის საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; პროგრამაში ჩართულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი; სასწავლო მასალა (სახელმძღვანელოები, პუბლიკაციები, ინტერნეტ-რესურსები) ხელმისაწვდომია; შემუშავებულია მექანიზმები სწავლის ხარისხის უზრუნველსაყოფად.
პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა:
1 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის („ზოგადი ჰისტოლოგია“, „ზოგადი ემბრიოლოგია“, „მცენარეთა ფიზიოლოგია“) სტატუსი.
- გადაიხედოს კურსების სემესტრული განაწილება და დაშვების წინაპირობები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი რჩევები:

- სასურველია, პროგრამის მენეჯმენტმა დააყენოს საკითხი ფაკულტეტის ადმინისტრაციის წინაშე ყველა კურსისთვის 6 ECTS მინიჭების უნივერსალური ხასიათის მიზანშეუწონლობის შესახებ.
- სასურველია, გადაიხედოს და განახლდეს ზოგიერთ სილაბუსში („ზოგადი ემბრიოლოგია“, „კონსერვაციული ბიოლოგიის შესავალი“, „ადამიანის ანატომია“, „უჯრედის ბიოლოგია“) მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.
- სასურველია კურიკულუმში საველე პრაქტიკის ჩართვა.
- სასურველია, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგები დაჯგუფდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.
- სასურველია, რომ პროგრამის აღწერილობაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების-სწავლის მეთოდები სრულად იყოს ჩამოთვლილი, ხოლო სწავლება-სწავლის მეთოდები და მათთან დაკავშირებული აქტივობები იყოს გამიჯნული.

ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შედეგად გაითვალისწინა ინსტიტუციის პოზიცია 2.3 და 2.5 პუნქტთან დაკავშირებით და შესაბამისი რეკომენდაციები რჩევებში გადაიტანა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტურია და ასახულია თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმასთან. პროგრამა მიმართულია ბიოლოგიის დარგში კომპეტენტური სპეციალისტის მომზადებაზე, რომელსაც ეცოდინება ცოცხალი ორგანიზმების აგებულება, ცხოველქმედების თავისებურებება, მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონზომიერებები, ცოცხალ ორგანიზმებთა წარმოშობის, განვითარების და მათში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესები და მათი ფიზიოლოგიური მახასიათებლები. პროგრამა კურსდამთავრებულს გამოუმუშავებს ლაბორატორიული და აკადემიური მუშაობისთვის აუცილებელ კვლევით, ეთიკურ და პრაქტიკული უნარ-ჩვევებს. პროგრამაზე სწავლის დროს გამომუშავებული უნარები საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს, განაგრძოს სწავლა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე – მაგისტრატურაში და/ან დასაქმდეს კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურებში. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან უკეთ მორგების მიზნით, ჩატარებული აქვს კვლევები პოტენციურ დამსაქმებლებთან და პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებთან. გაანალიზებული და გათვალისწინებული აქვთ მათგან მიღებული უკუკავშირის შედეგები, რაც გათვალისწინებულ იქნა პროგრამის სწავლის მიზნებსა და შედეგების ჩამოყალიბებისას. პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების სილაბუსები, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლების ფორმატი, სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელი კვალიფიციური ადამიანური რესურსი - აკადემიური და დამხმარე პერსონალი, უნივერსიტეტის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და წიგნადი ფონდი უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე https://iliauni.edu.ge განთავსებული და ხელმისაწვდომია ინფორმაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/misia-2
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა
- ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- დამსაქმებლის კვლევა
- პროგრამით კმაყოფილების კვლევა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი)
- QAA Subject Benchmarks: Biosciences (2019) - https://www.qaa.ac.uk/docs/qaa/subject-benchmark-statements/subject-benchmark statement-biosciences.pdf
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის გაწერილი და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პერიოდში. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე საფეხურის აღმწერთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამის სწავლის შედეგები განზოგადებული სახით შედგენილია ცალკეული კურსების სწავლის შედეგების მიხედვით.

პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუებიდან ჩანს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი დაინტერესებული მხარეები - პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები. უნივერსიტეტის

მიერ გათვალისწინებულ იქნა მათგან მიღებული უკუკავშირი. ასევე გამოიყენეს გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის კოდექსის (UK Quality Code for Higher Education) მიერ ბიომეცნიერებებისთვის შემუშავებული სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი (Subject Benchmark Statements for Biosciences).

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს აფასებს პროგრამის შეფასების ჯგუფი რომელშიც ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ეს ხდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის, დამსაქმებლების გამოკითხვები, ინტერვიუები შესაბამის ფოკუს-ჯგუფებთან და ა.შ) წესით.

ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები არის მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური. შედეგები ჩამოყალიბებულია ნათლად და თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა ასახულია პროგრამის რუკაში. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული შეფასების მექანიზმის განხორციელება მოხდება განახლებული საბაკალავრო პროგრამის ამოქმედებისთანავე.

პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს თან ერთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი, პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სამიზნე ნიშნულების რუქა. სწორედ აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, განახორციელებენ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას.

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ ისინი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა) სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი. მიგვაჩნია, რომ დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მონიტორინგის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს შედეგების გასაზომ ყველა საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებას და ანალიზს. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის, სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის შეფასების შედეგები კი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და სწავლის შედეგების მიღწევის რუკა.
- სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და გეგმა.
- დამსაქმებლის კვლევა.
- QAA Subject Benchmarks: Biosciences (2019) - https://www.qaa.ac.uk/docs/qaa/subject-benchmark-statements/subject-benchmark statement-biosciences.pdf
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები.
- პროგრამით კმაყოფილების კვლევა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი.
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები.
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია.

• ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამაზე "ბიოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" მიღება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. პროგრამაზე ჩაბარების მიზნით აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ეროვნული გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მეთემატიკასა და უცხო ენაში შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მოცულობით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების შესახებ თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში "მიღება", ასევე შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე.

პროგრამის პოპულარიზაციის და სტუდენტების რეკრუტირების მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის PR-ის სამსახურის მხარდაჭერით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი ორგანიზებას უწევს აბიტურიენტებთან საინფორმაციო შეხვედრებს, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. 2020 წლიდან უნივერსტეტი ატარებს ონლაინ „ღია კარის დღეს".

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების დიდი დაინტერესების მიუხედავად, არ გაზრდილა პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა, რასაც პროგრამის მენეჯმენტი ხსნის პროგრამის მაღალი ხარისხის შენარჩუნების აუცილებლობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი iliauni.edu.ge
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებვერდი naec.ge
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და პროცედურების დაცვით. მოწოდებული დოკუმენტების და ექსპერტთა ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით გამოიკვეთა, რომ პროგრამის შემუშავების და მოდიფიცირების სხვადასხვა ეტაპზე ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ადმინისტრაცია, დამსაქმებლები).

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

პროგრამა მოიცავს 240 ECTS შემდეგი გადანაწილებით:

თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 ECTS

ძირითადი სწავლის სფერო - 120 ECTS

დამატებითი პროგრამა / თავისუფალი კომპონენტი - 60 ECTS

თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული:

- შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I და II -12 ECTS
- აკადემიური მუშაობის ტექნიკები - 6 ECTS
- ინგლისური ენის კურსები - 24 ECTS
- შესავალი კურსები - 18 ECTS (ფიზიკის მიმართულება, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულება, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულება)

ძირითადი სწავლის სფერო:

1. სავალდებულო კურსები - 72 ECTS, მათ შორის:
   - რაოდენობრივი ბლოკის კურსი - 6 ECTS
   - სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ბლოკის კურსი - 6 ECTS
   - სავალდებულო კურსები - 60 ECTS
2. სავალდებულო-არჩევითი კურსები - 36 ECTS
   - ბლოკი A (არანაკლებ 18 ECTS)
   - ბლოკი B
3. არჩევითი კურსები - 12 ECTS

აღსანიშნავია პროგრამაზე ინგლისური ენის ინტენსიური სწავლება (24 კრედიტი), თუმცა შეხვედრების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ისურვებდნენ ინგლისური ენის სწავლების კიდევ უფრო გაძლიერებას.

კურიკულუმი შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტისგან, რომლებშიც ასახულია დარგის მრავალფეროვნება და თანამედროვე ტენდენციები (მაგალითად, შემოთავაზებულია კურსები „ბიოუსაფრთხოება და ბიოლოგიური დაცვა", „ბიოენერგეტიკა". „უჯრედშორისი ურთიერთობები"). ამავე დროს კურიკულუმი არ ითვალისწინებს სტუდენტის მიერ საველე პრაქტიკის გავლას, რაც მნიშვნელოვანია ფართო პროფილის ბიოლოგიის სპეციალობის სტუდენტების როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავებასა, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. ასევე გაუგებარია ფართო პროფილის ბიოლოგისთვის ისეთი მნიშვნელოვანი კურსებისთვის, როგორიცაა მცენარეთა ფიზიოლოგია, ადამიანის ანატომია, ზოგადი ემბრიოლოგია და ზოგადი ჰისტოლოგია (რომლის გავლა რეკომენდებულია დასკვნით VIII სემესტრში) არჩევითი კურსების სტატუსის მინიჭება. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფისთვის მოწოდებული დოკუმენტების დათვალიერებისას გამოვლინდა რიგი ხარვეზებისა. მაგალითად, რეკომენდებულ სემესტრულ განაწილებაში არ არის კურსი „უჯრედშორისი ურთიერთობები", რომელიც წარმოდგენილია პროგრამის კატალოგში. IV სემესტრში სტუდენტები გადიან სავალდებულო კურსს „ბიოქიმია", და ამავე დროს შეუძლიათ აირჩიონ სავალდებულო/არჩევითი კურსი „ორგანული ქიმია", რომელიც ბიოქიმიის კურსის ფარგლებში განხილულ მსგავს თემებს ფარავს. სასურველია, რომ მოხდეს ამ ორი კურსის დროში გამიჯვნა (ორგანული ქიმიის კურსი უნდა წინ უსწრებდეს ბიოქიმიის

კურსს) და გადაფარვების აღმოფხვრა. საბაკალავრო პროგრამის კატალოგიდან გამომდინარეობს, რომ 8 არჩევითი კურსი თანაბრად ნაწილდება გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრებს შორის. ამავე დროს რეკომენდებული სემესტრული განაწილებიდან გამომდინარე, VIII სემესტრში სტუდენტი ირჩევს ერთ საგანს, თუმცა არჩევანის სახით მხოლოდ ერთი საგანია შემოთავაზებული და გაუგებარია, შეუძლია თუ არა სტუდენტს VII სემესტრებში გაწერილი არჩევითი საგნების არჩევა.

კურიკულუმიდან მკაფიოდ არ ჩანს, თუ რა პრინციპით ხდება სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკებად დაყოფა, თუმცა ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ ბლოკი A გულისხმობს კვლევითი კომპონენტის ჩართულობას (რაც საბაკალავრო ნაშრომის შესრულებაში აისახება).

პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულია და ლოგიკურადაა დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები მეტწილად ადეკვატურია. თუმცა მიგვაჩნია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კურსზე დაშვების წინაპირობა უნდა გადაიხედოს (მაგალითად, „ზოგადი ემბრიოლოგიის“ ან „ქცევის ფიზიოლოგიის“ კურსებს წინაპირობა საერთოდ არ აქვს; კურსი „ ადამიანის ორგანიზმი და ჯანმრთელობა“ (ასევე წინაპირობის გარეშე) შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო, როგორც „ადამიანის ანატომიის“ და „ადამიანის ფუნქციურ სისტემათა ფიზიოლოგიის“ ლოგიკური გაგრძელება).

პროგრამას ახლავს კომპეტენციათა რუკა, რომელიც ადგენს მიმართებას პროგრამის კომპონენტებსა და სწავლის შედეგებს შორის და რეკომენდებული სემესტრული განაწილების გეგმა.

დამატებითი პროგრამის ფორმატში პროგრამა მოიცავს 60 ECTS.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

პროგრამასთან დაკავშრებული ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია. კერძოდ, დაინტერესებული მხარეებისა და პოტენციური სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით ის განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.iliauni.edu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები
- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი, კატალოგი, რეკომენდებული სემესტრული განაწილება)
- შეხვედრები ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის (ზოგადი ჰისტოლოგია, ზოგადი ემბრიოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია) სტატუსი.
- გადაიხედოს კურსების სემესტრული განაწილება და დაშვების წინაპირობები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია კურიკულუმში საველე პრაქტიკის ჩართვა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის დახასიათებიდან, კურსების სილაბუსებისა და შედეგების მიღწევის რუკიდან გამომდინარეობს, რომ ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ამავე დროს სასურველია, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგები დაჯგუფდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.

თითოეული კურსის სილაბუსში მითითებულია სწავლების მეთოდები და აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. კურსების სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევადობას.

პროგრამის ყველა კურსი 6 კრედიტიანია. აღსანიშნავია, რომ 6-კრედიტიანი კურსების ფარგლებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების განაწილება განსხვავებულია, რაც კონკრეტული საგნის სპეციფიკით აიხსნება. თუმცა რიგ შემთხვევაში საკონტაქტო საათებში სხვაობა მეტად დიდია (მაგალითად, ბიოქიმია (6 ECTS) - 32 საკონტაქტო საათი; მოლეკულური ბიოლოგია (6 ECTS) - 68 საკონტაქტო საათი; ზოოლოგია (6 კრედიტი) – 50 საკონტაქტო საათი), რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ყველა საგნისთვის 6 კრედიტის მინიჭება ხელოვნურია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებთან შეხვედრის დროს გაირკვა, რომ ისინი ისურვებდნენ საკონტაქტო (ძირითადად პრაქტიკული და ლაბორატორიული) საათების წილის გაზრდას, თუმცა შესაძლებელია, რომ სტუდენტების ეს სურვილი პანდემიასთან დაკავშირებულ სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლას უკავშირდება.

კურსების უმრავლესობაში თეორიული ცოდნის ტრანსფერთან ერთად ხდება პრაქტიკული/ლაბორატორიული უნარების განვითარება, აგრეთვე საბაზისო კვლევითი უნარების და ჯგუფური მუშაობის უნარის განვითარება, რაც მიიღწევა ჯგუფურ პროექტებში ჩართულობით.

სასწავლო კურსების ფარგლებში დასახელებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, ასევე სხვა სასწავლო მასალა (ვიდეო ლექციების ჩათვლით) უმეტესად განახლებულია და ითვალისწინებს დარგში არსებული უახლესი კვლევების მონაცემებსა და მიღწევებს. თუმცა ზოგიერთ სილაბუსში (მაგალითად, „ზოგადი ემბრიოლოგია“, „კონსერვაციული ბიოლოგიის შესავალი“, „ადამიანის ანატომია“, „უჯრედის ბიოლოგია“) დასახელებული ლიტერატურა კვლავ მოითხოვს გადახედვას და განახლებას.

სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ან რიდერების სახით „არგუსზე“ და/ან moodle-ზე. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე (ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Anallytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა)

ხელმისაწვდომობას, მათ შორის, არასაუნივერსიტეტო ლოკაციებიდან (ნებისმიერი კომპიუტერიდან ელექტრონული ანგარიშის მეშვეობით), რაც შემოწმდა და დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სწავლის შედეგების მიღწევის რუკა
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- ბიბლიოთეკის ვებგვერდი http://library.iliauni.edu.ge/chven-shesakheb/
- საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ბიბლიოთეკები, ჟურნალები და სხვა - http://library.iliauni.edu.ge/elibrary/sametsniero-bazebi/
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსი"
- უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალი http://elearning.iliauni.edu.ge
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი iliauni.edu.ge

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის მენეჯმენტმა დააყენოს საკითხი ფაკულტეტის ადმინისტრაციის წინაშე ყველა კურსისთვის 6 ECTS მინიჭების უნივერსალური ხასიათის მიზანშეუწონლობის შესახებ.
- სასურველია, გადაიხედოს და განახლდეს ზოგიერთ სილაბუსში „ზოგადი ემბრიოლოგია", „კონსერვაციული ბიოლოგიის შესავალი", „ადამიანის ანატომია", „უჯრედის ბიოლოგია") მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.
- სასურველია, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგები დაჯგუფდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზნებში დეკლარირებულია, რომ პროგრამა უზრუნველყოფს ლაბორატორიული და აკადემიური მუშაობისთვის აუცილებელი კვლევითი, ეთიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. პროგრამის მთავარი ამოცანაა იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, რაც აუცილებელია ბიოლოგიის სხვადასხვა დისციპლინაში თეორიული ცოდნის გამოყენებისთვის პრაქტიკაში. პროგრამა მიმართულია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, ანალიზის, არგუმენტაციის, პრობლემების შეფასებისა და გადაჭრის, გუნდში ეფექტურად მუშაობის უნარების განვითარებისკენ. კურსების დიდი ნაწილი („ბიოუსაფრთხოება და ბიოლოგიური დაცვა“, „ადამიანის ფუნქციურ სისტემათა ფიზიოლოგია“, „უჯრედის ბიოლოგია“ „ბიოტექნოლოგიის პრინციპები“, „საქართველოს ფლორა“ და სხვა) ითვალისწინებს კვლევითი ხასიათის პროექტების შესრულებას, სამეცნიერო ლიტერატურასთან დამოუკიდებელ მუშაობას და პროექტის ანგარიშის წარდგენას ზეპირად და წერილობით.

პროგრამაში არჩევით კომპონენტად გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება. სტუდენტები, რომლებიც ასრულებენ საბაკალვრო ნაშრომს, ერთვებიან ქიმიური ბიოლოგიის, ეკოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, ასევე ძილ-ღვიძილის ციკლის შემსწავლელ თენგიზ ონიანის ლაბორატორიაში მიმდინარე კვლევებში. ლაბორატორიული უნარების განვითარება ხდება კურსებში ინტეგრირებული პრაქტიკული სამუშაოების დროს. ამ მიზნით გამოიყენება სასწავლო ლაბორატორიების სივრცე, რომელიც აღჭურვილია საჭირო სამეცნიერო აპარატურით და ხარჯვადი მასალით. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია დეტალური ინსტრუქცია ლაბორატორიული უსაფრთხოების წესების შესახებ, რომელსაც ეცნობა სტუდენტი ლაბორატორიული სამუშაოს დაწყებამდე.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტებთან შეხვედრის დროს მათი მხრიდან დაფიქსირდა პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობის გაძლიერების სურვილი, თუმცა, როგორც უკვე ავღნიშნეთ, შესაძლოა, ეს გამოწვეულია პანდემიასთან დაკავშირებულ სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლით, ვინაიდან პროგრამის კურსდამთავრებულები, პირიქით, აღნიშნავდნენ, რომ პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა პრაქტიკული მეცადინეობების სიუხვე. ამავე დროს პროგრამის მენეჯმენტის მტკიცებით, ონლაინ რეჟიმზე გადასვლის დროს მოხდა პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების სასწავლო ცხრილში გადატანა, რათა მოხერხებულიყო პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნის შემთხვევაში მათი სრულყოფილად ჩატარება.

როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია კურიკულუმში საველე პრაქტიკის ჩართვა, ვინაიდან ის უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავებას, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანათლებლო პროგრამა
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები და საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია
- ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტის დებულება; ლაბორატორიული უსაფრთხოების უზრნველყოფის ინსტრუქცია
- შეხვედრა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში გამოყენებულია სწავლების დონის რელევანტური და სწავლების შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდები. პროგრამისა და ცალკეული კურსების აღწერაში ჩამოთვლილია შემდეგი სწავლება-სწავლის მეთოდები: ● ლექცია; ● სემინარი; ● პრაქტიკული მეთოდი; ● ლაბორატორიული მეთოდი; ● დისკუსია/დებატები; ● ჯგუფური მუშაობა; ● დემონსტრირების მეთოდი; ● პროექტზე მუშაობა. აღსანიშნავია, რომ ამ ჩამონათვალში არ არის მითითებული საბაკალავრო ნაშრომი და კონსულტაცია. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ დისკუსია/დებატები და ჯგუფური მუშაობა განიხილება არა როგორც სწავლების-სწავლის მეთოდი, არამედ სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები. სასურველია, რომ პროგრამის აღწერილობაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების-სწავლის მეთოდები სრულად იყოს ჩამოთვლილი, ხოლო სწავლება-სწავლის მეთოდები და მათთან დაკავშირებული აქტივობები იყოს გამიჯნული. სამომავლოდ ასევე გასათვალისწინებელია ონლაინ სწავლების მეთოდების გამოყენება. პანდემიასთან დაკავშირებულ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლასთან ერთად მოხდა ელექტრონული პლატფორმების გაძლიერება, დაინერგა moodle სისტემა, გაძლიერდა ონლაინ სწავლების მეთოდიკა. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრის დროს არა ერთხელ აღინიშნა, რომ სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანამანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში ეფექტურად ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. გათვალისწინებულია აგრეთვე ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც წინასწარ თანხმდება სტუდენტებთან საოფისე საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე "არგუსის" ან კორპორატიული ფოსტის საშუალებით. სტუდენტებს აგრეთვე აქვთ შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ტუტორთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე და ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში მიიღონ კონსულტაცია

მათთვის საჭირო კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებთ, ან მიიღონ უკუკავშირი წერით ნაშრომთან დაკავშირებით. ამგვარი ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრების ეფექტურობის შეფასება გათვალისწინებულია როგორც უნივერსიტეტში სტუდენტთა სერვისების შეფასების ფარგლებში, აგრეთვე თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა, თუმცა ამგვარი მიდგომის კონკრეტული მაგალითი ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიძია. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ერთვება უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა“. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აგრეთვე შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაშიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანამანთლებლო პროგრამა • სასწავლო კურსების სილაბუსები • აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებგვერდი http://writingcentre.iliauni.edu.ge/ • საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, რომ პროგრამის აღწერილობაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების-სწავლის მეთოდები სრულად იყოს ჩამოთვლილი, ხოლო სწავლება-სწავლის მეთოდები და მათთან დაკავშირებული აქტივობები იყოს გამიჯნული.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
➢ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. ➢ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ; ➢ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება; ➢ ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. მოწოდებულ დოკუმენტებში დეკლარირებულია, რომ პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა ეფუძნება ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა და გამჭვირვალობა.

შეფასება 100-ქულიანი სტანდარტული სისტემით მიმდინარეობს. ქულების გადანაწილება შემდეგი სახით ხდება:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

(FX) ვერ ჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სემესტრული შეფასება/დასკვნითი შეფასების თანაფარდობა ინდივიდუალური კურსებისთვის განსხვავებულია (მაგ. 70/30 ან 80/20).

თითოთული სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი ფასდება მინიმუმ სამი კომპონენტით (შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება). შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი.

სილაბუსების შეფასების ნაწილში განსაზღვრულია შეფასების ის ძირითადი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება პროგრამის კომპონენტის/კურსის ფარგლებში. სწავლის შედეგების გასაზომად ცალკეული კურსის ფარგლებში შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები. კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის ელექტრონული სისტემა "არგუსის" საშუალებით. ასევე ლექტორი სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების სისტემის შესახებ ატყობინებს სტუდენტებს პირველივე ლექციაზე, რაც დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს დროს.

თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება აქვთ, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შეხვდნენ კურსის ხელმძღვანელს და მიიღონ კონსულტაცია დავალების მომზადების წინ, ასევე მას შემდეგ, რაც დავალებაზე მუშაობას დაიწყებენ. შეხვედრის ადგილის და დროის შესახებ სტუდენტი ინფორმირებულია წინასწარ.

უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი და მკაფიოდ გაწერილი პროცედურები.

მოწოდებული დოკუმენტებისა და ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. სტუდენტების გამოკითხვა მოიცავს ინფორმაციას იმაზე, თუ რამდენად ინფორმირებული იყო წინასწარ სტუდენტი შეფასების სისტემის შესახებ, რამდენად ობიექტური იყო შეფასება, დროულად იტვირთებოდა თუ არა შეფასების შედეგები სისტემა "არგუსში", იღებდა თუ არა ლექტორისგან უკუკავშირს და სხვა. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება კურსის შეფასების სისტემის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალისთვის სწავლა-სწავლებისა

და შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების შეთავაზებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა • სასწავლო კურსის სილაბუსები; • საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუქციები • ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი • არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“ • ERASMUS+ CBHE projects • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტის მხარდაჭერისათვის, უნივერსიტეტში მოქმედებს სხვადასხვა მნიშვნელოვანი ცენტრი და დეპარტამენტი: აკადემიური წერის ცენტრი, სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი, სტუდენტური სერვის ცენტრი, საგარეო ურთიერთობების სამსახური და სხვა, ასევე სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემა "არგუსი". უნივერსიტეტსა და ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ფორმდება ხელშეკრულება, სადაც დეტალურადაა აღწერილი პირობები და ორივე მხარის ვალდებულებები. პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სწავლის პროცესში, შესაძლებლობა აქვთ შეხვდნენ პროგრამის ან კურსის ხელმძღვანელს. ასევე, პროგრამასთან და მის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტებს შეუძლიათ კონსულტაცია გაიარონ ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან, როგორც ყოველი სემესტრის დაწყებამდე, ასევე სემესტრის მიმდინარეობისას. ჩარიცხვისას, ყველა სტუდენტს უაქტიურდება ელექტრონული სისტემა „არგუსი", რომლის საშუალებითაც სტუდენტებს აქვთ საშუალება: • თვალყური ადევნონ საკუთარ აკადემიურ მიღწევებს, შეფასებებსა და კრედიტებს; დაამყარონ კომუნიკაცია და მიიღონ უკუკავშირი ლექტორისგან შუალედურში მიღებულ ქულასთან დაკავშირებით; • აირჩიონ სასწავლო კურსები; • ჰქონდეთ წვდომა სასწავლო მასალასა და სილაბუსებზე; გაეცნონ თითოელი სასწავლო კურსის შეფასების სისტემას, მეთოდებს და კრიტერიუმებს; • მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების, გაცვლითი პროგრამებისა თუ სხვა დაგეგმილი ღონისძიებების (საჯარო ლექციები, ტრენინგები, სეზონური სკოლები, კონფერენციები და ა.შ.) შესახებ; • შეაფასონ თითოეული სასწავლო კურსი. უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური წერის ცენტრი ეხმარება სტუდენტებს აიმაღლონ აკადემიური უნარები. მაგ: ტუტორისაგან მიიღონ კონსულტაცია მისთვის საინტერესო საკითხებზე, დაესწრონ სემინარებს, ისარგებლონ ონლაინ რესურსებით და ა.შ. კონსულტაციებზე და სემინარებზე რეგისტრაცია შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში. სტუდენტური სერვის ცენტრი კოორდინირებას უწევს სტუდენტების ინფორმირების გაზრდას კარიერული განვითარების მიმართულებით: • მართავს დასაქმების ფორუმებს; • აორგანიზებს სტუდენტურ პროექტებს, მასტერკლასებს და საჯარო ლექციებს; • ქმნის და მუდმივად აახლებს დამსაქმებელთა ბაზას; • სისტემატიურად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ვაკანსიებთან დაკავშირებით. ასევე, ცენტრი მხარს უჭერს სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებში, შესაბამისად - თანამშრომლობს სტუდენტურ ორგანიზაციებთან და საინიციატივო ჯგუფებთან; აორგანიზებს საჯარო ლექციებს, დისკუსიებს, საზაფხულო და ზამთრის სკოლებს; მხარს უჭერს სხვადასხვა სპორტულ და შემეცნებით აქტივობებს (მაგ:

უნივერიტეტში არსებობს მოლაშქრეთა კლუბი). სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერისთვის გამოყოფილია ბიუჯეტი პროექტების განხორციელებისა და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიზნით. სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრს შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა სტუდენტმა, საჭიროების მიხედვით. ცენტრში დასაქმებულები არიან ილიას ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები. უნივერსიტეტის განვითარების სამსახური მხარს უჭერს სტუდენტების ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში; ავრცელებს ინფორმაციას სხვადასხვა საერთაშორისო საგრანტო კონკურსებისა და სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგარეო ურთიერთობების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების სხვადასხვა გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში ჩართვას, მობილობის გაზრდას, სისტემატიურად აწოდებს მსგავსი შესაძლებლობების არსებობის შესახბ ინფორმაციას სტუდენტებს არგუსისა, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელის საშუალებით, დაინტერესებულ პირებს აქვთ საშუალება მიიღონ ინდივიდუალური კონსულტაციები, სტუდენტებს ეხმარება საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი ვებ-გვერდი: iliauni.edu.ge • პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები • ინტერვიუს შედეგები • აკადემიური წერის ცენტრის დებულება http://writingcentre.iliauni.edu.ge/ • საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება • ელექტრონული სისტემა "არგუსი" • სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება • სტუდენტური სერვისების მიწოდების, შეფასების და ანგარიშგების წესი • სტუდენტური სერვისების შეფასების ანგარიში • უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვ-რული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუ-ცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გან-საზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევი-თი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნ-ქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაო-დენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას ახორციელებენ ბიოლოგიის დარგის მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირები, მათ გააჩნიათ მრავალწლიანი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ფუნქციები და დატვირთვა სრულადაა შესაბამისობაში საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რომელიც რეგულირდება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციებით.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მაღალი კვალიფიკაციის დამადასტურებელია მათ მიერ წარმოდგენილი ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია, სადაც ჯეროვნადაა წარმოდგენილი ადგილობრივ თუ საერთაშორისო რეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ჩამონათვალი, გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია ასევე სრულ შესაბამისობაშია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ მოთხოვნებთან.

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ასევე მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვას.

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 43 პერსონალი. მათ შორის 31 აკადემიური (ყველა მათგანი არის აფილირებული) და 9 მეცნიერი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მხოლოდ 3 მოწვეული პროფესორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, მეცნიერთა ჩართულობა უზრუნველყოფს, როგორც სასწავლო პროგრამის განხორციელებას, ასევე შესაბამისი კვლევისა და მათთვის მინიჭებული სხვა ფუნქციების შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (40/3), ლექტორებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა (43/418) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელები წარმოადგენენ ბიოლოგიის დარგის წამყვან მეცნიერებს, პუბლიკაციების მაღალი ციტირების ინდექსით, მათ უდავოდ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შესამუშავებლად მათ გაითვალისწინეს ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება.

პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები უშუალოდაა ჩართული პროგრამის სწორად და ეფექტურად წარმართვის საქმიანობაში.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტი, რომელიც

უზრუნველყოფს როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შესაბამისი სახის ტრენინგებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის ხელმძღვანელების პირადი ფაილები • სასწავლო კურსების სილაბუსები • პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები: CV, პუბლიკაციები, საკონფერენციო ნაშრომები, კონკურსის მასალები, შრომითი ხელ-შეკრულებები • გასაუბრება აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან; • გასაუბრება კურსდამთავრებულებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის“ მოთხოვნებს. აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო შედეგების ანალიზს. მეცნიერის ყოველწლიური შეფასების კრიტერიუმები ასევე დაწვრილებითაა წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს და ხელს უწყობს როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების დაფინანსების საკითხებს, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში და ტრენინგებში მონაწილეობისთვის. 2017 წელიდან უნივერსიტეტში შეიქმნა სამეცნიერო საბჭო, რომლის საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით. საბჭო განსაზღვრავს და კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებს. საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე უნივერსიტეტი გასცემს ინსტიტუციურ გრანტებს.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებისთვის აქტიური საქმიანობის მაჩვენებელია უნივერსიტეტში არსებული აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც დაარსდა ERASMUS + პროექტის PRINTeL მხარდაჭერით, ცენტრის მრავალფეროვანი საქმიანობა დაწვრილებითაა წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში. ცენტრი უდავოდ ემსახურება უნივერსიტეტში დასაქმებული სამეცნიერო-კვლევით, თუ საგანმანათლებლო პროცესებში ჩართული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები როგორც ადგილობრივ, ასევე მსოფლიოს მრავალ წამყვან სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ინსტიტუციასთან. აღსანიშნავია უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფართო მასშტაბები, რისთვისაც უნივერსიტეტს გააჩნია, როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ასევე აკადემიური რესურსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები; • აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა; • საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი; • სტატისტიკური მონაცემები პერსონალის შესახებ; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; • აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; • ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ობიექტები საკმარისია პროგრამის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველსაყოფად. კლინიკური ობიექტები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, რომლებიც ფუნქციონირებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, არის სრულად აღჭურვილი ყველა აუცილებელი შესაძლებლობებით, ლაბორატორიული ტექნიკით და ბიოუსაფრთხოების (BSL1; BSL2) შესაბამისი დონეებით. ფუნქციონირებს ვივარიუმი, რომელიც გათვლილია მცირე ლაბორატორიული ცხოველებისა და ქორდიანების შენახვისა და გამრავლებისთვის. ვივარიუმი აღჭურვილია თანამედროვე როგორც ღია, ასევე ინდივიდუალური ვენტილაციის ტიპის (IVC) გალიათა სისტემებით. უნივერსიტეტის კამპუსის ინფრასტრუქტურა მოიცავს: ბიბლიოთეკას (რომელიც

წარმოდგენილია ათამდე სამკითხველო სივრცით), სპორტულ დარბაზს, კულტურის ცენტრს, კაფეტერიას, თანამედროვე პარკინგს, საკონფერენციო და კინოთეატრის დარბაზებს და სხვა. უახლესი სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა წარმოდგენილია ფართოდ, როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული რესურსებით, ხელმისაწვდომია ლიტერატურაზე დისტანციური წვდომა აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის. ბიბლიოთეკის მიერ შემოთავაზებული სერვისებიდან ხაზი უნდა გაესვას ტრენინგებს: "სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენება" და "საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების გამოყენება", აღნიშნული ტრენინგები უადვილებს მომხმარებელს საბიბლიოთეკო რესურსების სრულფასოვნად გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში დანერგილია ელექტრონული ფოსტისა და არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსი", სტუდენტი სასწავლო პროცესს გეგმავს არგუსის საშუალებით, სისტემა ეხმარება მათ უნივერსიტეტის სამსახურებთან კომუნიკაციაში, სასწავლო ცხრილის შედგენასა და სწავლის მიღწევების შესახებ ინფორმირებაში. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს სწავლების ელექტრონული პორტალი "elearning" და პროგრამა „TURNITIN".
მტკიცებულებები/ინდიკატორები • წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ვიზიტი უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის დათვალიერების მიზნით; • ონლაინ ჩართვები ლაბორატორიებიდან და ბიბლიოთეკიდან ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის დემონსტრაციის მიზნით; • ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები; • გასაუბრებები აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, ადმინისტრაციასთან; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლების-გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით, უნივერსიტეტის ხარჯვით ნაწილში ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 67.500 ლარი, საიდანაც: **ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია:** ✓ შრომის ანაზღაურება - 15.375 ლარი; ✓ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრირების, გადასხადების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის და მოვლა-შენახვის ხარჯი - 35.000 ლარი; ✓ პროგრამისთვის საჭირო სპეციალური ლიტერატურის, დამხმარე სასწავლო მასალების, საბიბლიოთეკო რესურსის, ექსპედიციების, სასწავლო პრაქტიკის და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სხვა ხარჯი - 16.000 ლარი; ✓ გაუთვალისწინებელი და განვითარების ხარჯი - 1.125 ლარი; აღსანიშნავია, რომ გარდა საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან დაფინანსებული თემატიკებისა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა წარმოდგენილია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საგრანტო პროექტებით, რომელთა დაფინანსების წილი ცალსახად ისახება უნივერსიტეტის ფინანსურ შემოსავლებში. ინსტიტუცია წარმოადგენს ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება. უნივერსიტეტის შემოსავლები არის სტაბილური და პროგნოზირებადი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი; • ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი; • ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში; • გასაუბრება უნივერსიტეტის ფინანსური სამსახურების წარმომადგენლებთან და რექტორთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი. ამ ორი დოკუმენტის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცენფცია ემსახურება უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას, უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, ხოლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შიდა და გარე მექანიზმები. ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების, უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. აღნიშნული პროცესების ფარგლებში გამოიყენება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები. კვლევების შედეგები აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებულ ანგარიშებში, რომლებიც მიეწოდება პროგრამის ხელმძღანელებს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს კვლევის შედეგებს პროგრამის ხელმძღვანელებთან და პერსონალთან, რომლებიც პროგრამის გავითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებენ ხარისხის შეფასების შედეგებს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდა ხარისხის განვითარების ინსტრუმენტს წარმოადგენს პერიოდული შიდა თვითშეფასების ანგარიში, რომელშიც აისახება საანგარიშო პერიოდში შეგროვებული მონაცემები, თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები და პროგრამის განვითარებისთვის დაგეგემილი ღონისძიებები. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა თვითშეფასება არის უწყვეტი პროცესი. პროგრამის განვითარების დინამიკის და ტენდენციების გამოვლენის მიზნით, ყოველ მომდევნო საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ხდება შედეგების შედარება წინა საანგარიშო პერიოდის მონაცემებთან. ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ პერიოდული თვითშეფასების ანგარიშები საშუალებას აძლევს სამსახურს შეაფასოს, გაითვალისწინა თუ არა პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა შიდა ხარისხის კვლევებით მიღებული შედეგები პროგრამის განვითარების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია • სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები • პროგრამის განხორციელების შეფასების წესი

• ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში უსდ-ს მიერ გამოყენებული იყო 2011 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №98, 17.10.2011) აკრედიტაციის ექსპერტების ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები. როგორც ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა დარგის ექსპერტების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობით და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები/რჩევები გათვალისწინებული იყო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • 2011 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები • დამსაქმებლის კვლევის ანგარიში • კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ითვალისწინებს სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების შესრულებას. კვლევები ხორციელდება წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით.
ხარისხის უზრუნველყოფის კონცენფციაში მოცემულია სისტემური კვლევების რუკა და კვლევების განხორციელების ვადები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება სტუდენტების, ლექტორების/სამეცნიერო პერსონალის კმაყოფილების კვლევა; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის კვლევების შეფასება; პროგრამაზე მიღების შეფასება; სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევა; მობილობის კვლევა; აკადემიური მოსწრების ანალიზი; კურსების/კომპონენტების შეფასება; დამსაქმებლის/პარტნიორის შეფასება; სტუდენტების დასაქმების კვლევა; კურსდამთავრებულთა კმაყოფილების/დასაქმების კვლევა. აღნიშნული კვლევებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კითხვარები და გამოკითხვისთვის იყენებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემას „არგუსს“ ან ფოკუს ჯგუფებს. კითხვარების ფორმები და ჩამოთვლილი კვლევების/შეფასებების შედეგები უსდ-ს წარმოდგენილი აქვს აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის თანმხლებ დანართებში. გამოკითხვებში მონაწილეობა ინტერვიუებზე დაადასტურა აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებელმა.
შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით გათვალისწინებული მონიტორინგის, კვლევის შედეგები გამოიყენება როგორც შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების მიერ საკუთარი საქმიანობის დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- კვლევის ინსტრუმენტები და კვლევის შედეგების ანგარიშები
- პროგრამით კმაყოფილების კვლევის მექანიზმი და კვლევის შედეგები.
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია (ძირითადი და დამატებითი პროგრამები)
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ელენე ჩერქეზია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თეა მჭედლური

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნათია ღაჭავა

სახელი, გვარი, ხელმოწერა ლევან ციცქიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა მარიამ აბულაძე